



დაპროექტებულია

პროგრამა

ახმატა

ადგილობრივი ტაძრები - საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი წირვა, ზარების რეკვა.

ჩოლოყაშვილის ქუჩა - გამგეობის მარცხენა მხარე - შსს-ს ტექნიკის გამოფენა; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალის გვირგვინით შემკობა.

ჩოლოყაშვილის სკვერი - სახელოვნებო-შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანების ბავშვების ერთობლივი თემატური კონცერტი; სამხატვრო სკოლის ბავშვების თექისა და გობელენის, ნახაზების ხელოვნების, ქარგვის, ჩეჩვისა და ქსოვის პროცესების ჩვენება; თემატური ხატვა ღია სივრცეში "პლენერი" და გამარჯვებულ მონაწილეთა სიგელებით დაჯილდოება; შეჯიბრება მკლავჭიდში, ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოში, მინი-ფეხბურთში, კალათბურთში, ნარდსა და ჭადრაკში; მხიარული სტარტები საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით; კაფეები და სწრაფი კვების ობიექტების ფუნქციონირება.

სოფელი ქვემო ალვანი - დოლი - გამარჯვებულების დაჯილდოება.

ჩოლოყაშვილის სკვერის მიმდებარე ტერიტორია - ქუჩის მუსიკოსების მინი კონცერტი (ტამტამი, ფანდური, გიტარა, მოცეკვავეები); ხალხური რეწვის ნიმუშების: თიხის, გობელენის, კერამიკის, ხეზე კვეთის, ხალხური ინსტრუმენტების, ქართული ტრადიციული კოსტიუმების, სამუზეუმო ექსპონატების გამოფენა; ფოტოების, ნახატებისა და ყვავილების გამოფენა; წიგნების გამოფენა; სასპორტო და სამუსიკო სკოლების მიღწევების ამსახველი ფოტო-გამოფენა; შეჯიბრი კულინარიაში - დეგუსტაცია (ხინკლის მოხვევა, თუმური კოტორი, მწვადი).

ახალგაზრდული კლუბი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა ოჯახის წევრებისათვის თემატური კონფერენცია, ფილმის ჩვენება და საჩუქრების გადაცემა.

ჩოლოყაშვილის სკვერის მიმდებარე ტერიტორია - პატარა სცენა - მხიარულთა და საზრიანთა კლუბის სახალისო ნომრები; ხალხური პოეზია.

გამგეობის მიმდებარე ტერიტორია - დიდი სცენა - ადგილობრივი ქორეოგრაფიულ-ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართულ ტრადიციულ ფორმებში ჩაცმული მოცეკვავეებისა და მომღერალი ბავშვების წარმოდგენები; კონცერტი მოწვეული მომღერლების მონაწილეობით.

21:30 სთ - გამგეობის მიმდებარე ტერიტორია - დიდი სცენა - საქართველოს ჰიმნი, ფოიერვერკი.